საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი, 7 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელისმომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 11 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 11

**ამხ. მუშებო! საქართველოს ყველა ციხეებში სამი და ოთხი დღეა ორასი კომუნისტი შიმშილობს!**

**შეგიძლიათ თქვენ დამშვიდებით ჩაიდოთ პირში თქვენი მწირი ლუკმა?..**

## ბრძოლა ლეგალობისათვის

საქართველოს მთავრობა გაშმაგებული სიანჩხლით აწარმოებს უკიდურესობამდე გამწვავებულ რეპრესიებს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიული ამხანაგები რევოლიუციონური თავგანწირულებით უპასუხებენ ამ რეპრესიებს და უსწორო ბრძოლის ულმობელობით გარემოცულნი შიმშილით სიკვდილსაც კი შეგნებულათ ეგებებიან.

ეს ფაქტი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა ამ ჟამათ ჩვენს ცხოვრებაში და მის სიდიადეს სრულიათაც ვერ ამცირებს ის გარემოება, რომ მაზე კრინტს არა სძრავს მართველი პარტია, რომ მას ერთი სიტყვითაც არ ეხმაურება არც ერთი სხვა პოლიტიკური ჯგუფი, რომ მას თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევს არა მარტო ეგრეთ წოდებული საზოგადოება, არამედ თვით ყველაზე დაჩაგრული კლასი—„მოშინაურებული" და პირში წყალ ჩაგუბებული ქართველი მშრომელი ხალხი.

ეს მოვლენა სარკესავით გამოხატავს როგორც ჩვენი პარტიის, ისე მთავრობის ჭეშმარიტ მიდრეკილებას, ამ ორი მოწინააღმდეგე ფაქტორის ურთიერთობას და ამავე დროს იგი მოწმობს არსებულ საქმეთა ვითარების აუტანლობას, მის აუცილებელ შეცვლას.

რამ გამოიწვია ის მდგომარეობა, რომ „დემოკრატიული" მთავრობა წარბშეუხრელათ უყურებს მის ქვეშევრდომ მოქალაქეების შიმშილით სიკვდილს? მხოლოთ იმან, რომ ის ვერ შერიგებია ჩვენი პარტიის ლეგალურ არსებობას, მის წმინდა იდეურ ხასიათის საქმიანობას. ვერ შერიგებია მიტომ, რომ ჩვენი იდეა უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს მისი არსებობისათვის.

ჩვენი პარტია აშკარათ და ყველასათვის დასანახათ დაადგა ლეგალობის გზას. პარტიული ამხანაგები აწარმოებენ წმინდა იდეურ—ორგანიზაციულ მუშაობას და სათოფეთაც არ ეკარებიან ყოველივე მას, რაც იდეურ სფეროს გარეშე მდგომი და არალოიალური დამოკიდულების დამამტკიცებელია.

სწორეთ ამაში ხედავს მთავრობა საფრთხეს და კვლავ გვერეკება არალეგალობისკენ, იატაკის ქვეშისკენ. ის ვერ მოითმენს, რომ ჩვენ სრულუფლებიანი მოქალაქეები შევიქნეთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ვებრძოლოთ მას ჩვენი იდეით, რომელიც უფრო ბასრია, ვიდრე მთავრობის ცეცხლ-მფრქვევი და ცივი იარაღი. ის სწორათ ანგარიშობს, როდესაც, გვისპობს რა ლეგალობის შესაძლებლობას, ნაკლებ ეშინია ჩვენი არა-ლეგალობის.

მართლაც, ამით ის ჩვენ საშუალებას გვართმევს მოვიქცეთ ისეთ მასიურ, ძლიერ პარტიათ, რომელიც სისტემატიურათ ერევა ცხოვრების ყოველ მოვლენაში და ახდენს მასზე საგრძნობ გავლენას. ჩვენი არა-ლეგალობა, პირიქით, ხშირათ შეიძლება მისთვის სასარგებლო დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, ხალხის საფრთხობელათ ის მუდამ გამოგვიყენებს, როგორც კი კრიტიკული მდგომარეობა მას აიძულებს რაიმე გარეშე პირობა მოიმიზეზოს.

ამნაირათ, ჩვენთვის სწორეთ ლეგალობაა საუკეთესო პირობა ჩვენი პარტიის მძლავრათ განვითარებისათვის, მთავრობისათვის კი ჩვენი არა-ლეგალობა უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე ჩვენი ლეგალობა.

— გამეცალე ასპარეზიდან და თუნდ არალეგალურათ იმოქმედე—ეუბნება ჩვენს პარტიას მთავრობა.

— უნდა დავიპყროთ ლეგალობა და ამისთვის არ დავიშურებთ უდიდეს მსხვერპლსაც—ეუბნება ჩვენი პარტია და არ ღალატობს თავის სიტყვას.

ბრძოლა ლეგალობისათვის—აი კონკრეტიული შინაარსი ჩვენი ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრებიდან წარმომდგარი ბრძოლისა. დემოკრატიულ რესპუბლიკაში მან აუარებელი მსხვერპლი შეიწირა და კიდევ მრავლათ მოითხოვს.

## მენშევიკების „ექსპედიცია" რუსეთში

როგორც ვიცით მენშევიკები აგზავნიან რუსეთში მუშათა დელეგაციას, რომელიც შესდგება 17 კაცისაგან.

როგორია მიზანი ამ დელეგაციის?

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებათ ჩვენი აზრით არ არის საკმაო გავეცნოთ მარტო ოფიციალურ განცხადებებს დელეგაციის დანიშნულების შესახებ. ამას გარდა საჭიროა კიდევ, და უფრო, გავიგოთ, რა პირობებში იგზავნება ეს დელეგაცია რუსეთში, ვისი ინიციატივით ხდება ეს და რა იმედები ასულდგმულებენ ინიციატორებს?

არავისათვის—და მათ რიცხვში, რასაკვირველია, მენშევიკებისთვისაც—არ შეადგენს საიდუმლოებას ის გარემოება, რომ საბჭოთა რუსეთის გმირული ბრძოლა მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საერთო აღფრთოვანებას იწვევს ყველა ქვეყნის მშრომელთა მასაში. ის უუძლიერესი ფაქტორია დღეს მიმდინარე სოციალისტური რევოლიუციის, ის აღრმავებს და აფართოვებს ამავე მშრომელთა მასაში საერთაშორისო ბოლშევიზმის გავლენას. ეს გარემოება არ უჯდება ჭკუაში ერთი მხრით ბურჟუაზიას, მის პირდაპირ იდეოლოგებს და მის „მოხალისე" დამხმარე მოსოციალისტე ინტელიგენციას და მეორე მხრით იმ „სოციალისტურ" პარტიებს, რომლებსაც რუსეთის რევოლიუციის მიმდინარეობამ და მისმა საერთაშორისო გამოძახილმა ცოტა არ იყოს ტაქტიკური სხემები აურია. ყველა ეს პატიოსანი ხალხი ერთ რამეში მაინც თანახმა არიან ურთიერთ შორის: მოიხმარონ მთელი თავისი ძალა და ღონე, მატერიალურათ მოლარული, ინტელექტუალური, რომ როგორმე დასცენ ბოლშევიზმის გავლენა მსოფლიო პროლეტარიატში და ყველა დაჩაგრულ ხალხებში. ეს გავლენა კი ყველგან იჩენს თავს, ყველგან იზრდება და ამ მხრით არც ჩვენი ქვეყანა შეადგენს გამონაკლისს. როგორც ყველგან აქაც ბოლშევიზმის გავლენა ძალიან ფართოა. ყოველისფერი შეგვიძლია ვიფიქროთ ჩვენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებზე, მარა შეუძლებელია მივაწეროთ მათ გულუბრყვილობა — სხვანაირათ ფიქრობდენ ამის შესახებ თავს იტყუებდენ. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გავლენის შემუსვრა შეადგენს დღეს საქართველოს მთავრობის მთელი „შინაური" პოლიტიკის ღერძს. იგივე ამოცანა უდევს წინ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულ მთავრობებს თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ხოლო რადგან რუსეთი არის იდეიურ პოლიტიკური სულის ჩამდგმელი იმ საერთაშორისო „სენის" რომელიც ედება მთელ კაცობრიობას, ცხადია მის წინააღმდეგ არის მიღერილი დღეს ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის ფარხმალი. ვისაც ძალა შესწევს ის ეომება მას იარაღით, ვისთანაც კი, სამწუხაროთ, ასეთი ძალა სუსტობს, ის ცდილობს შეასუსტოს როგორმე თავის ხალხზე მათთვის თავზარდამცემი პოლიტიკური გავლენა, რომელიც მომავალში მათ არასფერ სასიამოვნოს არ უმზადებს.

ყველა ხმარობს იმ იარაღს და ისე, რომელიც და როგორც შეეფერება მის მორალურ-პოლიტიკურ შემეცნებას.

ყველამ იცის მაგალითად რუსეთის ეკონომიური ცხოვრების დანგრევა, რომლის მიზეზთა მიზეზს შეადგენს საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ გამოწვეული და გაძლიერებული სამოქალაქო ომი. მარა ამ სამოქალაქო ომის მონაწილენი არიან, არ შეიძლება არ იყონ, ბოლშევიკები, ამიტომ სინდისიერ ხალხს ისინი გამოჰყავსთ ყოვლის დამნაშავეთ. ზოგი „მართალით", ზოგი ტყვილით*)—ყველა ემსახურება ერთ „დიდ" საქმეს: ბოლშევიზმის საერთაშორისო გავლენის თუ მოსპობას არა—ამას ველარ ახერხებენ!—შესუსტებას მაინც.

ამ მდგომარეობაში ზოგიერთ სოციალისტებს და მათ შორის „სოციალიზმის უდიდეს ტაქტიკოსს" პ. ბ. აქსელროდს დაიბადათ აზრი ბოლშევიკებთან ანკეტებით ბრძოლის. ამის შესახებ ამ „ტაქტიკოსმა" წერილითაც კი მიმართა ნ. ნ. ჟორდანიას და ა. ჩხენკელს საქართველოში. გასაოცარი გულახდილობით, რომლის მსგავს რამეს თქვენ ტყუილათ ეძებთ დღეს რუსეთში გასაგზავნი დელეგაციის შესახებ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებებში, პ. ბ. აქსელროდი სწერდა თავის ქართველ თანამოაზრეებს და მოწაფეებს, რომ ანკეტის მიზანია ევროპის პროლეტარულ მასაში მორალურათ გაანადგურონ ბოლშევიკების დიქტატურის ინტერნაციონალური პრესტიჟი და თაყვანისცემაო. და სწორეთ არსებითად ამ გეგმას ასრულებენ საქართველოსთვის მენშევიკები რუსეთში თავისი დელეგაციის გაგზავნით.

აქ მიზანი გარკვეულია, ამ მიზნის მსახურნიც გარკვეული ფიზიონომიის ხალხია. მათი მისწრაფებაა რაც შეიძლება მეტი „მასალა" ჩამოატანინონ რუსეთიდან ამ დელეგაციას თავის სამწყსოსათვის თავისივე გაზეთების იმ სპეციფიური „საინფორმაციო" განყოფილებისთვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთნაირი ხარისხის, ერთი ბუნების ცნობებს აწვდის ყოველ დღე საბჭოთა რუსეთის ეკონომიკა და პოლიტიკაზე თავის გაბრუებულ მკითხველებს, სულ ყოველისფერს ამას, რასაკვირველია, სათანადოთ შეზავებულს.

*) როგორ დაბლა დაეცენ ზოგიერთები ამას ისიც მოწმობს, რომ ერთხელ მაგალითად გაზეთ „ბორბის" ხელმძღვანელმა ბ-ნმა ვოიტინსკიმ ისეთი რამ ჩაიდინა, რომლის მსგავსი რამ მე თანამედროვე ბულვარული პრესის ყოვლის შემძლე ჟურიმებისაგანაც არ მსმენია. მან ცილი დასწამა ბოლშევიკებს იმაში, რომ თითქოს მათ თვითონ... გამოეგონოსთ მაკლინი (ჩვენი ინგლისელი ამხანაგი), რომ ის არც კი ასებობს, რომ ის ბოლშევიკების იერ შეთხზული ლეგენდაა და და არა ნამდვილათ არსებული პიროვნებაო.

ქ. ქ.

ცხადია, მთელი ამ დელეგაციის „საქმე" შეთითხნილია ერთი მიზნით. მარა სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო და გულუბრყვილოების თვალში თავის ობიექტივობის დასაცავად მენშევიკებმა მოწყალება მოიღეს, რომ დელეგაციაში „სხვა" პარტიების წარმომადგენლებიც დაეშვათ. საქმე სახუმრო არ არის და „ერთობაც" გარემოების შესაფერისი სიდინჯით ამ გულუბრყვილოების და ბრიყვების გასაგონათ აცხადებს, რომ „დელეგაციაში ადგილი აქვს დათმობილი გარდა სოციალ-დემოკრატებისა, სოციალ-ფედერალისტებსაც, ესერებსაც, დაშნაკელებსაც ე. ი. ყველა იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშებიო".

შეიძლება „ერთობის" გაბრუებულმა მკითხველმა იფიქროს, რომ კომუნისტები იმიტომ არ შედიან დელეგაციაში, რადგან მათ ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშები არ ყავთ, ან დ იმიტომ, რომ ფედერალისტების, ესერების დ დაშნაკლების გავლენა საქართველოს მშრომელთა მასსაში მეტია ვინემ კომუნისტებისო. ასეთი აზრი, რასაკვირველია, დიდი სიყალბე იქნებოდა, რადგან ეს ასე არ არის და თუ მიუხედავათ ამისა ბოლშევიკები განდევნილია დელეგაციიდან—ეს სულ ადვილი ასახსნელია და ზედმეტათ ადასტურებს ჩვენ შეხედულებას დელეგაციის ზრახვების შესახებ.

ის გარემოება, რომ დელეგაცია შესდგება ჩამოთვლილი პარტიების წარმომადგენლებისაგან, არაფერს არ მატებს მის ობიექტიობას, რადგან ყველა ეს პარტიები კომუნისტების მიმართ წარმოადგენენ ერთიან „რეაქციონურ მასსას", საბჭოთა რეჟიმის მიმართ მტრულათ განწყობილს და სიძულვილით გამსჭვალულს.

რის გაკეთება შეუძლია ასეთ დელეგაციას, ამას დაგვანახვებს მათი უკან დაბრუნება. დღეს კი აშკარათ ხაზი უნდა გაესვას იმ უტყუარ ფაქტს, რომ მუშათა დელეგაციის სახელით საბჭოთა რუსეთში მიდის ნამდვილათ ჩვენი ამხანაგებისა და მათი ბრძოლისადმი მტრულათ განწყობილი, ზიზღით ალსავსე მენშევიკების „ექსპედიცია", რომელსაც, როგორც იქ, ისე აქ, შექმნილ მდგომარეობაში, შეუძლია ითამაშოს ობიექტიურათ კონტრ-რევოლიუციონური როლი, მიუხედავათ, შეიძლება, დელეგაციის ზოგიერთი წევრის სუბიექტიური სურვილისა.

ქ. კრედო.

## სიჩუმის შეთქმულება

ქვევით მკითხველი გაეცნობა ქუთაისის ციხეში დატრიალებულ „თანამედროვე", მენშევიკურ სცენას: მენშევიკების ადმინისტრაცია ხსნის წითელ დროშას, ალყას არტყამს ციხეს, რომელშიაც შიმშილობის აჩრდილი დაბუდებულა, სადაც ჩვენი ამხანაგები საშინელ უფსკრულის კიდეზე შემდგარან და დაღუპვას არჩევენ ძალმომრეობასთან შერიგებას. აქ კი ორივე მენშევიკური გაზეთი ხმა გაკმენდილია, მათსავით გაჩუმებულია დანარჩენი პრესაც—მხოლოდ გაზეთი „კლდე" ათავსებს მოკლე ცნობას კომუნისტების შიმშილობის შესახებ. ორასამდე ჩვენი ამხანაგი იხოცება ციხეებში—მათ კი სიჩუმის შეთქმულება მოუწყვიათ. შეუძლებელია მეტი გათახსირება, გახრწნა, გაველურება. მეოთხე დღეა, რაც რომ ჩვენი ამხანაგების ტრაგედია დაიწყო, მეოთხე დღეა, რაც მენშევიკების სინიდისი არსებობის ნიშანს არ იძლევა!

## ადგილობრივი პრესა

საბჭოთა რუსეთი მესამე, მიუდგომელ ძალათ ერევა სომეხ-თათართა საურთიერთო სისხლიან დავაში და მშვიდობიანობის ჩამოგდებით სურს იძულებული გახადოს სამართლიანი გადაწყვეტა სომხეთ-აზერბაიჯანის დავა საზღვრების გამო, რომლებშიაც თვით რუსეთი, სოციალისტური რევოლიუციის მეთაური, ისეა დაინტერესებული როგორც შარშანდელ თოვლში, მარა მწყალობელ და დენიკინის დამკარგავი დაშნაკელები ინგლისის ცოფმორეულ იმპერიალისტებს ჩურჩულით წათამამებულნი, მოწადინებულნი არიან რუსეთის მედიატორობა უკუაგდონ და უქრობი დატოვონ ორ ხალხთა შორის დანთებული ცეცხლი მძულვარების, ხოცვა-ჟლეტის. „ერთობა", მომსწრები იმავე დაშნაკელებთან გაზავების ინგლისის გენერლების ჩარევით, მოსთქვამს „სომხეთის ტრაღედიას" და იფიცება იცით რას? რომ რუსეთს სომხეთის ბოძება სურს ოსმალეთის იმპერიალისტებისათვის! ათავებს კი ასე:

„უდიდესი ტრაღედიის წინაშე დგას კაცობრიობა; იმ ისტორიულ, საუკუნოებრივ დავას რომელიც არსებობდა ოსმალთა და სომეხთა შორის, დღეს „წითელი" რუსეთი თავის ხიშტებით სწყვეტს და სწყვეტს ისე, როგორც არ გადაუწყვეტია არც ერთს ბარბაროსულ ერს არც ერთი ერის ბედი: სწყვეტს პატარა, სუსტი ერის მსხვერპლად შეწირვით დიდი, მტაცებლური სახელმწიფოს სამსხვერპლოზე.

ეს უნდა დაუყონებლივ ეცნობოს მთელს განათლებულს კაცობრიობას, მთელი ქვეყნის დემოკრატიას, მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, ყველა მუშათა ორგანიზაციებს. დაე, მათ დააფასონ „წითელი" ჯარების საქციელი. დაე, მათ დასდონ მსჯავრი იმ აღმაშფოთებელ, საარაკო ბარბაროსობას, რომელსაც „წითელი" ჯარები სჩადიან მცირე ერის მიმართ „სოციალიზმის" და „კომუნიზმის" სახელით".

სჩანს მენშევიკებს მხოლოდ ბანკეტები, დელეგატები, მისალმებანი და დეპეშები ეხერხებათ. თორემ რომელი ჭკუათა მყოფელი ადამიანი, თუმცაღა „პოლიტიკოსების" კორიდორში ნამყოფი იტყოდა, რომ რუსეთს სომხეთის გაფეშქაშება უნდა ოსმალეთისთვისო? არც თითონ სდომებია, არც სომხის ხალხისთვის, მხოლოდ და მხოლოდ სტამბოლის ხვანთქრისთვის. თუ ასე იარა „ერთობამ"—სულ მალე იმასაც კი იტყვის გულში ხელის ცემით და ჯიბეში დეპეშით, რომ რუსეთს პოლონეთის გაჩუქება აქვს გადაწყვეტილი გერმანიის იუნკრებზე, და შეიძლება ვილგელმზედაც კი!

* * *

იმავე ნომერში ესერ-ფედერალისტმენშევიკი თითქმის მინისტრი და თითქმის პროფესორი ს. ავალიანი საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე სწერს. რაღა თქმა უნდა, ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ასეთ თემებზე უნდა სწეროს, მარა ხშირათ ენის ბორძიკი ემჩნევა და მიყრუებულ სოფლის დემოკრატ-პროპაგანდისტის სტილზე და სხაპა-სხუპით ისვრის მაგ., ასეთ მეცნიერულ შხეფებს:

„სოფელმა ვერ მოუცადა კომუნისტების საქმიანობას და თავისებურად მოეწყო. ქალაქები საბჭოთა რუსეთში მოისპო. მრეწველობა და წარმოება სრულიად განადგურდა. ქალაქის ადგილს იჭერს სოფელი. ქალაქში მოისპო მრეწველობა...

მოისპო, განადგურდა—განადგურდა, მოისპო,—ნამდვილი საპროფესორო და სამინისტრო სტილია!

ნამეტურ, მკვლევარის ნამდვილი მაჯისცემა ისმის აი კიდევ ასეთ სიტყვებში:

„მიხვდენ მოსკოვის კომუნისტები, რომ ფულის კურსის გამაგრება სხვათა შორის მოხდება ფულის ნიშნების ბეჭდვის შემცირებით. საბჭოთა რუსეთი მორცხვია და საიდუმლოთ ინახავს იმას, თუ რამდენი ქაღალდის ფულის ნიშანი გამოუშვა. მხოლოდ ხანდახან წამოცდება და საიდუმლოს გასცემს“.

ისინი კი მიმხვდარან, მარა თქვენ კი მიხვდით და ამცირებთ ბეჭდვას? იქ მორცხვობა და საიდუმლოების მოყვარულობა გეუცხოვებათ, მარა ეს-ერების შეკითხვას რომ არ აეხადა ფარდა თქვენი „მორცხვობისათვის“, ვინ იცის, როდის წამოგცდებოდათ, ბატონო, რამდენიმე მილიარდის ბონების ფარულად დაბეჭდვა და მომარაგება“.

* * *

ჩვენს გაზეთში ცალკე განყოფილება არის—„საბჭოთა რუსეთის პრესა“, საიდანაც მკითხველი ეცნობა რუსეთის მიმდინარე პუბლიცისტიკის ნიმუშებს, რომლებიც მოგვყავს ხოლმე უცვლელად და უკომენტარიოთ. გუშინწინდელ ნომერში მოთავსებული გვქონდა ცნობილ კომუნისტის ნ. ბუხარინის წერილი, როიელშიაც გარკვეულია ცნება „სამშობლოს“-ს შინაარსი გაბატონებულ კლასების თვალსაზრისით, როცა ისინი განუყოფელ მფლობელები არიან ამ „სამშობლოს“ და მეორე მხრით მაშინ, როცა ისინი ექსორიაქმნილნი არიან გამარჯვებულ მუშების და გლეხების მიერ. „საზოგადოთ სამშობლო“, „სამშობლო საერთოდ“ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მყვლეფელ კლასთა სამშობლო, რომელიც კარგავს ყოველგვარ მიმზიდველობას ბურჟუაზიისათვის. თუ მუშათა კლასია გაბატონებული, თუ მას მოუპოვებია თავისი კლასისთვის „სამშობლო“. ერთი სიტყვით არსებობს არა ერთი ერი, არამედ კლასები ამ ერში. ეს ხომ ძველის ძველი ჭეშმარიტებაა თვით პირველ დროინდელ ქრისტიანთა მქადაგებლებმა იცოდენ, რომ ერთ ერში ორი ერია—მყვლეფელთა და გაყვლეფილთა, იცოდა ეს ინილისის კონსერვატიულ პარტიის სულის ჩამდგმელმა ლორდ ბიკონსფილდმა, იცის რასაკვირველია ყოველმა სოციალისტმა. მარა „სახალხო გაზეთი“ შეშფოთებულია ბუხარინის ასეთი შეხედულებით და „შეჭმა, გადაყლაპვა ელანდება ყველგან, სადაც დაჩაგრულ კლასთა სოლიდარობაზეა სიტყვა ჩამოგდებული და არა მთლიან ერის ერთობაზე: არსებობს ერი და არა კლასები, ან უკეთ—უნდა არსებობდეს ერთად ერთი ერი, რომლის შინაობაში, ოჯახური სიამტკბილობით და მამულიშვილური თავაზიანობით იქნება „ბრძოლა“ მესვეურობის გამო—აი „სახალხოს“ ძველის ძველი „თეორია“, რის გამო კამათი მიგვაჩნია უნაყოფოთ, ვით ღვთისადმი შეწირული მონაზონი... მარა ბოლოს „სახალხო“ ვერ იკავებს თავს და პროკურორივით გვიბღვერს.

„მაგრამ ჩვენ ერთი გარემოება კიდევ გვაინტერესებს. იზიარებს თუ არა ადგილობრივი კომუნისტები ბუხარინის იეზუიტურ თეორიას? თუ იზიერებენ, მაშინ როგორ ღა უნდა აღიარონ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელზედაც ისინი ხან და ხან ლაპარაკობენ ხოლმე? როდესაც უკომენტარიოდ ჰბეჭდავენ მის წერილს, გრძნობენ თუ არა, რომ იგი მოუწოდებს ყველა ერს წითელ არმიელებს დაეხმარონ საკუთარ სამშობლოს დასაცემად ბუხარინების ფერხთა წინაშე?

საინტერესოა ყველა ამის პასუხი.

ვგრძნობთ, ბ-ნო მოკრიტიკე პროკურორებო, რომ „სამშობლოები“ ევროპაში თავისუფლებდებოდენ ფეოდალურ უღლიდან საფრანგეთის რევოლიუციონურ ჯარების პირდაპირი დახმარებით. ვგრძნობთ, რომ „სამშობლოს“ წინააღმდეგ იხმობდა 1893 წ., ციურიხის სოციალისტურ კონგრესზე გ. პლეხანოვი გერმანიის ჯარებს. ვგრძნობთ იმასაც, რომ თავიანთ საუკუნოებრივ მწყალებელთა, პანების და ბურჟუების მძიმე უღლის თავიდან მოშორებისთვის, პოლონეთის მუშამ და გლეხმა დახმარება უნდა გაუწიონ განმათავისუფლებელ წითელ ჯარს და მასთან ერთად ბრძოლით დაიპყრას თავისთვის სამშობლო. ეს ასეც ხდება—ბრესტ-ლიტოვსკში შემდგარი პოლონეთს ჩაიბარებს სწორედ რუსეთის წითელი ჯარის დახმარებით და მოუვლის მას პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობით წელ გამაგრებული. მარა ჩვენ მოკრიტიკე პროკურორს ალბათ უფრო „აინტერესებს“ იმის გაგება, აქეთაც ხომ არ ვიწვევთ ჩვენ წითელ ჯარს, როცა ბუხარინის წერილს ვბეჭდავთ?

არა ბატონებო, ჩვენ ამას არ ჩავდივართ, არც ჩავიდენთ მას შემდეგ, რაც რუსეთ-საქართველოს შორის ზავი ჩამოვარდა. ხოლო ჩვენდა თავად ჩვენც გვაინტერესებს: „მთავარი კომიტეტის ორგანო“ სულ სავა კომიტეტის სამსახურში ხომ არ შესულა, როცა ლიტერატურული სარბიელზე ასეთი საეჭვო შეკითხვებით თუ დაკითხვებით რო გამოდის?

# მიმართულებათა ბრძოლა კომუნისტურ ინტერნაციონალში

(დასასრული. ამოღ. გაზ. „პრავდიდან“ №№ 131—2. იხ. „ახალი კომუნ.“ № 9)

იმ ცენტრალისტურ მისწრაფებათა, სოციალურ სარჩულს, რომლებიც კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ იმალება, მუშათა კლასის ის ნაწილები შეადგენენ, რომლებიც ომამდე მუშათა არისტოკრატიას წარმოადგენდენ, და რომელთაც ომის მიერ წარმოშობილი პირობები დღითი დღე უბრალო მუშის ცხოვრების დონემდე აქვეითებს, ხოლო კაპიტალიზმი კინწის კვრით მიერეკება რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე. როცა ბაკუნინი მუშათა არისტოკრატიის ღირებულებას არკვევდა, ის ინტუიციის გზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს მხოლოდ მუშათა მასსა, რომლისთვისაც ისტორიას სხვა არჩევანი არ ურგუნებია რა და ამ ბრძოლის გარეშე აღარაფერი დარჩენია; მაგრამ ბაკუნინმა ვერ გაითვალისწინა ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ გაღატაკებულ მასსას ლუმპენ-პროლეტარებისას უკეთეს შემთხვევაში შეუძლია გამოიჩინოს საკმაო ძალა შერყეულ კაპიტალიზმის დასანგრევად მხოლოდ, ხოლო რაც შეეხება ორგანიზაციულ უნარსა და ცოდნას, ურომლისოდაც შეუძლებელია ახალი წესწყობილების შექმნა, ასეთი მას არ მოეძევა და ეს მოეპოვება უპირველესად მხოლოთ მუშათა არისტოკრატიის მასსებს, და ამიტომაც სოციალური რევოლიუციის ეპოქა მხოლოთ მაშინ დადგება, როცა მუშათა არისტოკრატიის დონემდე ამაღლებული, კაპიტალიზმის მიერ გათვითცნობიერებული და გამოწვრთნილ გამობრძმედილი ნაწილი პროლეტარიატისა ეკონომიურათ ლუმპენპროლეტარიატის მდგომარეობამდე ჩამოქვეითდება. ომის დაწყებიდან და განსაკუთრებით მისი შეწყვეტის შემდეგ სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება მუშათა არისტოკრატია, და ეს არა მარტო გერმანიასა და ავსტრიაში, სადაც საერთო არევ-დარევა ცხოვრებისა მუშათა არისტოკრატიის მდგომარეობასაც დღითიდღე უნუგეშოთ ხდის, ამასვე ვამჩნევთ აგრეთვე საფრანგეთშიდაც და თვით ინგლისშიც, რასაც შედეგათ თან ახლავს გარევოლიუციონერება კვალიფიციური მუშების ფართო მასსებისა, რომლებიც ომამდე მუშათა მოძრაობის მარჯვენა ფრთას წარმოადგენდენ. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ რევოლიუციონური მისწრაფებანი, რომლებიც თავს იჩენენ მუშათა არისტოკრატიაში, სულაც არ მოასწავებენ ამ უკანასკნელის მკვიდრათ დადგომას კომუნიზმის ნიადაგზე თუნდ კომუნისტური ლოზუნგებიც მიიღონ, გადამწყვეტ მომენტებში ისინი მაინც ძველი გზებისაკენ აცეცებენ თვალებს, ფიქრობენ—იქნებ ძველი მეთოდებითაც იოლად შეიძლებოდა წასვლაო; ბრძოლის ყოველ გადამწყვეტ მომენტში ისინი ისევ თავის ძველ ღმერთებს უბრუნდებიან და მათგან მოელიან ხსნას მხოლოდ მრავალ გზობით დამარცხების წყალობით თავს ატყდება მუშათა კლასს ასეთი მერყეობა და შემდგომი ეკონომიური არევ-დარევა და განადგურება და ეს აიძულებს მათ საბოლოოთ უკუაგდონ ძველი ილლიუზიები და ფაქტიური, შეუდრეკელი მონაწილეობა მიიღონ რევოლიუციონურ ბრძოლაში. ასეა საქმე ლონგეტისტების მხრით საფრანგეთში, ასეა საქმე გერმანიაშიც დამოუკიდებელთა მხრით. ასევეა აგრეთვე ზოგ პარტიებშიც, რომლებიც მასსების გავლენით უკვე მიეკედლენ მესამე ინტერნაციონალს. დასახელებულ „ცენტრალისტურ“ პარტიებს და თვით თითქმის კომუნისტურ პარტიებსაც, როგორიც არის, მაგ. იტალიის პარტია, სათავეში დღევანდლამდე ისეთი ადამიანები უდგანან, რომლებიც არსებითათ რევოლიუციონერები კი არა, კონტრ-რევოლიუციონერები არიან: კაუცკის მიმდევარი სწავლული რუდოლფ ჰილფერდინგი მოლაყბე და ენა-გრძელი კრისპენი, სუსტი ხასიათის მქონე პოლიტიკოსი ლონგე, რეფორმისტები: ტურატი, ტროვესი, მოდილიანი. ყველა ესენი თანხმდებიან კომინისტურ ლოზუნგებზე და შედიან კიდეც კომუნისტურ ინტერნაციონალში, მაგრამ როცა ასე იქცევიან, მათ აქვთ სხვა მიზანი—ხელში შეინარჩუნონ საქმე, რათა გადამწყვეტ მომენტში გავლენა მოახდინონ მუშათა მასსებზე და ხელი აალებინონ მათ გადამჭრელ რევოლიუციონურ ბრძოლიდან. ჰილფერდინგმა და კრისპიენმა მიიღეს პროლეტარიატის დიქტატურაც და საბჭოთა მართვა გამგეობის სისტემაც, მაგრამ ყოველ გადამჭრელ მომენტში, როცა მასსები საომრათ გამოვლენ, ისინი ამ ლოზუნგებს გასცვლიან შეიდემანელებთან კოალიციის ლოზუნგზე, რომელიც იქნება არა საბჭოთა, არამედ ისეთი ქმნილების ლოზუნგი, რომელსაც მაინც ერქმევა „მუშური მთავრობა“—ე. ი. გაკეთდება ახალი საფარი ბურჟუაზიისთვის, ვინაიდან მუშური მთავრობა, რომელიც არ იქნება დაყრდნობილი ძლიერ მუშურ ორგანიზაციებზე, მუშათა ნების ყოფის გამომხატველ ორგანიზაციებზე, რანაირიც, მარტოოდენ საბჭოებია, ისეთ მუშურ მთავრობას არა დარჩენია რა, გარდა იმისა, რომ მხარი

გ. საფაროვი.

# აღმოსავლეთი და სოციალური რევოლიუცია

ინგლისის კაპიტალი ძლიერ შეძრწუნებულია აღმოსავლეთის ბედით, და არც ცდება ის: აქ თავდაყრილია აუარებელი ასაფეთქებელი ნივთიერებანი!

მართალია, აღმოსავლეთის ქვეყნები არ არიან განვითარებულნი მრეწველობის მხრივ.

სამრეწველო დაწესებულებებს შეხვდებით აქ, როგორც ოაზისებს. მთელი მეურნეობა თავმოყრილია მიწის მოქმედებასა და ჯოგის მოშენებაში, რომელიც ჯერ კიდევ ატარებს ბატონყმურ და პატრიარქალურ-თემურ სახეს.

ამაში არის აღმოსავლეთ ქვეყნების მეურნეობის ერთგვარი თავისებურობა.

ევროპის კაპიტალიზმმა ჩააყენა აღმოსავლეთის ქვეყნები აუტანელ პირობებში. ის დაუზოგველად ეწევა ამ ქვეყნების ექსპლოატაციას, გამოაქვს იქიდან ნედლი მასალა და მასთან ერთად ნებას არ აძლევს ადგილობრივ განვითარდეს წარმოება, რითაც იწვევს მასსიურ სილატაკეს.

აღმოსავლეთის ვაჭრობა ნაკურთხია შარიატით (სარწმუნოებრივი კანონი) და აღიარებულია თითქმის ყველგან მიუცილებელ საფუძვლად საზოგადოებრივი არსებობისათვის. იმ დროს, როდესაც ევროპის გაღატაკებული გლეხი მიდიოდა ფაბრიკებში, აქაური (აღმოსავლეთის ქვეყნების) გაღატაკებული გლეხი იძულებული იყო ქუჩის მაწანწალა გამხდარიყო, მათხოვრობა დაეწყო ანდა ლუკმის საშოვრად გადასახლებულიყო სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის ევროპაში და ამერიკაში აღმოსავლეთიდან გაღატაკებულ გლეხების და ხელოსნების რიცხვი ყოველ წლობით აღწევდა 10 მილიონამდის.

აღსანიშნავია, რომ თურქესტანში ეხლაც იმყოფება 100 ათასი სპარსელი მუშა, და კავკასიაში კი მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტია.

„აღმოსავლეთში ერთად ერთი შემომქმედი კლასი ეს გლეხობაა. მათ უნდა გამოკვებონ არა მარტო თავისი თავი და თავისი ოჯახი, არა მარტო გაუმაძღარი მემამულეები, უთვალავი ვაჭრები და ვაჭრუკანები, არამედ დააკმაყოფილონ აგრეთვე გაუმაძღარი მადა მთავრობის მოხელეთა ყაჩაღური ხროვისა“. („სოციალური რევოლიუციის პერსპექტივები აღმოსავლეთში“—სულთან-ზადეს თეზისები.)

ასეთია საქმის ვითარება ინდოეთში, სპარსეთში და ბუხარაში.

მსხვილი მიწათ-მფლობელი მებატონეები დაყრდნობილი არიან თავისსა და მთავრობის ძალაზე. ამით მათ საშუალება ეძლევათ ამუშაონ გლეხობა ჯოჯოხეთურ პირობებში. მსხვილი მიწათმფლობელნი ყველგან გამოდიან რეაქციის სულის ჩამდგმელ ძალათ, სხვა სახელმწიფოსაგან დამოკიდებულ ქვეყნებში (უფრო მეტათ სპარსეთში) კი ხელს უწყობენ ამ სახელმწიფოებს თავის კოლონიალურ ბატონობაში.

აღმოსავლეთში უფრო მეტ როლს, ვიდრე ევროპაში, თამაშობს სავაჭრო კაპიტალი, რომელიც ერთნაირად ყვლეფს, როგორც მიწათმფლობელს, ისე მეტყავე—მეჯოგეებს, ნახევარ პროლეტარს და ხელოსანს. სავაჭრო კაპიტალის ხელმძღვანელობითი გავლენამ ღრმად გადგა ფესვები აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრება—ჩვეულებებში, რადგან ამ კაპიტალს აქვს ასობით წლების განმავლობაში განვითარების ისტორია. დაქუცმაცებული მეურნეობას ის აერთებს ერთ მთელში; ის შუამავალია ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ევროპის კაპიტალს შორის.

სპარსეთის, ავღანისტანის და ბუხარის ვაჭართა კლასები არ არიან ერთსულოვანნი. იმაში ყველაზე რეაქციონური შეძლებული ნაწილი დიდ იმედებს ამყარებს ინგლისთან სავაჭრო დამოკიდებულებაზე. ვაჭართა კლასის მეორე ნაწილი, რიცხვით დიდი, ხდგას ეროვნულ თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე. ასე მაგალითად სპარსეთში, სადაც ვაჭრები დემოკრატიულ პარტიის მემარცხენე ფრთას ეკუთვნიან.

სასულიერო წოდებას დიდი გავლენა აქვს მოპოვებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღმოსავლეთის სარწმუნოება არის სოციალური სარწმუნოება. აღმოსავლეთის ყველა ქვეყნებში სამღვდელოება გამოდის ფეოდალური ბატონყმური რეაქციის მხარეზე. როგორც მაგალითი, შეიძლება მიუთითო ბუხარაზე, რომელიც იყო ცენტრი ძველი აღთქმის დროინდელ მეცნიერების.

არის აგრეთვე პროგრესიული სამღვდელოება, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული სავაჭრო კაპიტალთან და რომელიც მოწინავე რაზმებში გამოდის ეროვნული თვით-გამორკვევისათვის ბრძოლის დროს. ამ პროგრესიულ სამღვდელოებიდან და ვაჭართა წრეებიდან გამოდის ეროვნული ინტელიგენცია. ამ ინტელიგენციის „გულუბრყვილო ნაციონალიზმი“ არის იმის მიზეზი, რომ ძლიერ გამწვავებულ დამოკიდებულებაში არიან მათთან (ინტელიგენციასთან) ყველა ისინი, ვინც ცდილობს ხელ-უხლებელი და[illegible]ეს კოლონიალური ბატონყმობა და ფეოდალური წესები.

აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიურად განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა ნაციონალური რევოლიუცია, რომელიც დაიხსნის ამ ქვეყნებს უცხო კაპიტალის მიერ მონობა—მტაცებლობისაგან. ნაციონალური რევოლიუციის მოთხოვნილება მით უფრო მწვავედ ემჩნევა ამ ქვეყნებს ეხლა, როდესაც იმპერიალისტური ომის გამო მეურნეობა დაეცა, ამას დაურთეთ კიდევ ამ ქვეყნების ხელახალი დაყოფა-დანაწილება იმპერიალისტებ შორის (მცირე აზია). ინგლისის კაპიტალს არ შეუძლია მისცეს თავის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებს იმდენი საქონელი, რასაც ის აძლევდა წინად.

რევოლიუციონური ბრძოლა ძლიერდება აგრეთვე სარწმუნოებრივი მომენტითაც, რასაც ხელი შეუწყო ინგლისელების მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების წმინდა ადგილების ხელში ჩაგდებამ და ხალიფატის საკითხში ამ ხალთან უთანხმოებამ.

მასთან ერთად აღმოსავლეთის ნაციონალური რევოლიუცია აუცილებლათ ღებულობს სოციალურ ხასიათს. ამ რევოლიუციის დროს აუცილებელი იქნება მიწის საკითხის გადაწყვეტა. ამ კითხვის გადაწყვეტის დროს პირის პირ წაუდგებიან ერთი მეორეს მსხვილი მიწათმფლობელები და უმიწაწყლო გლეხობა.

ასეთ გზას ადგია სპარსეთის რევოლიუცია. ეს აუცილებელია სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებისთვისაც. რაც უნდა მცირე რიცხოვანი იყოს პროლეტარული ელემენტები აღმოსავლეთში, ფაქტია ის, რომ ასეთი ელემენტები არიან, როგორც იწყებენ შეკავშირებას დასავლეთ-ევროპის, განსაკუთრებით კი, რუსეთის რევოლიუციის გავლენით. სპარსეთში, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი უფრო ღრმა არის, უკვე არსებობს და მუშაობს კომუნისტური პარტია, „ადალიათი“. ეს პარტია დაარსდა 1916 წ. ბაქოს სპარსეთელ მუშების ხელმძღვანელობით.

პარტიის შემადგენლობა წმინდა მუშურია.

წევრთა რიცხვი რვა ათასამდის ადის, ისიც არა ლეგალურ მუშაობის დროს.

ამას გარდა პარტიას აქვს თურქესტანში მოწყობილი ორგანიზაციები 40 ადგილას.

პარტიის პირველ კონფერენციაზე (14 აპრილი 1920 წ.) ტაშკენტში წარმოდგენილი იყო 5,600 კაცი.

სპარსეთის რევოლიუციამ უფრო უნდა გააფართოვოს და გაამაგროს პარტიის გავლენა.

ოსმალეთში საერთო-ნაციონალური მოძრაობა დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის თავს იყრის ანატოლიის აჯანყებულთა ირგვლივ.

თავის მხრივ ოსმალეთის კომუნისტები აკავშირებენ თავის ძალებს აჯანყებულებში.

ოსმალეთის კომუნისტების იაჩეიკები არსებობენ თურქესტანში, კავკასიაში და სხვა აღმოსავლეთ ქვეყნებში.

ინდოეთის რევოლიუციონერებმა უკვე კავშირი შეკრეს კომუნისტურ ინტენაციონალთან.

ბუხარესტში 1919 წლის დეკემბრამდის არსებობდა პარტია „ახალგაზრდა ბუხარელებისა“. ამ პარტიას დეკემბრის სიეზდზე გამოეყო დიდი უმრავლესობა და დაარსა ბუხარის კომუნისტური პარტია. ბუხარელი კომუნისტები აწარმოებენ ნაყოფიერ არალეგალურ მუშაობას. ისინი აერთიანებენ ნახევარ პროლეტარებს და ხელოსნებს.

ხივის რევოლიუციის შემდეგ „ახალგაზრდა ხიველთა“ პარტიამ დაიწყო ლეგალური მუშაობა და მთელი თავის ძალებს ანდომებს სახელმწიფო-აღმშენებლობის საქმეს. „ახალგაზრდა ხიველთა“ პარტიის პროგრამა მოითხოვს რევოლიუციონურ დემოკრატიულ რეფორმებს და აგრეთვე მჭიდრო კავშირის დაჭერას საბჭოთა რუსეთთან.

ეს მოკლე აღნუსხვა ნათლად გვიჩვენებს რომ აღმოსავლეთში მოწინავე მშრომელ ელემენტებისაგან უკვე ჩაყრილია კლასობრივი ორგანიზაციების საძირკველი. პროლეტარიატის დროშას გაჰყვებიან არა მარტო „წმინდა“ პროლეტარები, არამედ ნახევარ პროლეტარები, ხელოსნები, რომლებიც აქ მილიონობით არიან და რომელთაც სხვა გზა არა აქვთ.

რასაკვირველია, სოციალური რევოლიუციის გზა აღმოსავლეთში უფრო ძნელი და ნარ-ეკლით მოფენილი იქნება ვიდრე დასავლეთში. მის უახლოესი ლოზუნგები არ იქნება დასავლეთ ევროპის რევოლიუციის ლოზუნგები. დღის წესრიგში დგას აგრარული რევოლიუცია და სახელმწიფოებრივი კოოპერატიული ორგანიზაცია წვრილი წარმოებების. ეს არის პროგრამა მინიმუმი, მაგრამ მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლაში მას აქვს „მაქსიმალისტური“ მნიშვნელობა.

თავისი ნაციონალური და სოციალური განთავისუფლების საქმეს აღმოსავლეთის დაჩაგრული ხალხი შესძლებს დასავლეთის პროლეტარების დახმარებით და მასთან კავშირით. ყველაზე მეტ დახმარებას ამ მხრივ გაუწევს მათ საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკების მუშები.

ამ აზრს ღრმათ აქვს გამჯდარი ფესვები აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხში და როდესაც ეს აზრი დაეუფლება მათ ნებას და გონებას, მაშინ მსოფლიო იმპერიალიზმის „წირვა გამოსული იქნება“.

გაზ. პრავდა 16 ივლისი.
№ 155. 1920 წ.

დაუჭირონ ბურჟუაზიას, დაჰფარონ მასი ბატონობა. ტურატი, ტრევესი და მოდილიანი ათასჯერ დაიფიცავენ—სავსებით დავიცავთ დისციპლინას და ყველაფერში დავემორჩილებით პარტიასო, მაგრამ, როგორც ბებრებს, მათ არ ძალუძს დისციპლინის გრძნობის მიზეზით გამოიჩინონ ჰაბუკური ვნებათა ღელვა, თუ გინდ უმწვერვალესათ შესაფერ მომენტში, და მეორე მხრით, დეკლამაცია დისციპლინის შესახებ ამ ძველს გამოცდილ საპარლამენტო მოღვაწეებს ოდნავათაც არ დაუშლის კომმუნიზმის ადგილას პაციფიზმი შეაპარონ. კომმუნისტური ინტერნაციონალი აწარმოებდა ბრძოლას მარჯვნით მოსალოდნელ საშიშროებასთან, რომ მისი საქმე სიტყვებათ არ გადაქცეულიყო და მისი ბრძოლა —დეკლამაციათ არ გამხდარიყო. თავის მიმართვაში გერმანიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიისადმი, რომლის ც. კ. შეეცადა კიდეც დაემალა ეს მიმართვა თავის წევრებისთვის, კომ. ინტერნაციონალმა გადაჭრით განაცხადა, რომ ის სულაც არ ცდილობს შეჰქმნას ილლიუზია ძლიერებისა, და რომ ის თავის წრეში მიიღებს მხოლოდ ისეთებს, რომლებიც საქმით და არა მხოლოდ პროგრამული განცხადებებით ააშკარავებენ თავიანთ კომუნისტობას. ასეთივე აზრი გამოსთქვეს ლენინმა და ტროცკიმ თავიანთ წერილებში ლონგეს შესახებ. ასევე აშკარათ უნდა მოხსენდეს ეს აგრეთვე ჩვენს შვეიცარიელ მეგობრებს, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ყოფნას შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იმ იმედით, რომ მიიზიდავენ თავისკენ მთელ პარტიას. კომუნისტურ ინტერნაციონალს არასოდეს არ განუზრახავს განესაზღრა —სახელდობრ რა დროს და რომელი ქვეყნის კომუნისტები უნდა გამოეყონ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მაგრამ ეს ერთი საქმეა, ხოლო სხვა საქმეა შეულლება მემარჯვნე პარტიებთან, მათთან რაიმე გადამჭრელი ბრძოლის უარყოფა, დაფარვა მათი ლაჟბობისა, ვითომც და კომინისტური მსჯელობის, ისეთი ლაჟბობის, რანაირითაც ვარჯიშობს, მაგალითად ციურიხელი გაზეთი „ფოლკს რეხტი“, რომელსაც რედაქტორობს ცრუ—კომუნისტი ნობსონი. ასეთ შემთხვევებში პარტიები, რომლებიც შეადგენენ ჭეშმარიტ სულსა და გულს კომუნისტური ინტერნაციონალისას, იძულებული გახდებიან ყრილობაზე აშკარათა და ნათლათ გაავლონ ზღვარი და დანიშნონ საზღვარის ბოძი, რომლის იქით კომუნიზმი აღარ ითვლება.

ასეთ ინტელექტუალურ გულს აქნობამდე წარმოადგენდენ რუსეთისა და გერმანიის კომუნისტური პარტიები. მართალია, ამ უკანასკნელის პოზიციამ კაპპის გამოსვლების დროს, როცა პარტიის ც. კ. კაპპის მიერ მოხდენილ გადატრიალების პირველ დღეს გამოვიდა გაფიცვების წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგით, როცა ის 22 მარტს, როცა ბრძოლას კიდევ უფრო შორს შეეძლო წასულიყო წინ, მემარცხნე დამოუკიდებელთ ურჩევდა, რომ ისინი მუშათა მთავრობაში შესულიყვენ შეიდემანელებთან ერთად; მართალია ამ პოზიციამ დიდ საფრთხეში ჩააგდო გერმანიის კომუნისტური პარტიის ბედი; საფიქრალი შეიქნა, რომ ბრძოლა ამ ჩვენი მოძმე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, მიმართული აჯანყების ტენდენციების წინააღმდეგ, მივიდოდა იქამდე, რომ თვით პარტია გადავარდებოდა მეორე უკიდურესობაში, საკმარისად ვერ შეაფასებდა პროლეტარიატის ძალას, შეამცირებდა მას, რომ ის შეხედავდა რევოლიუციას, როგორც განკერძოებულ ეპიზოდს. საბედნიეროთ აღმოჩნდა, რომ ასეთი სნეულობით შეპყრობილი იყო მხოლოდ ზვვითა შცირე ნაწილი პარტიისა და ისიც არა მისი ყველაზედ მეტად პასუხის მგებელი წარმომადგენელნი. იმ მიწერ-მოწერიდან, რომელსაც გამართული ჰქონდა გ. კომ. პ. ც. კ-თან მის პასუხის მგებელ წარმომადგენელს, ამხ. ლევის, რომელიც კაპპის გამოსვლების დროს ციხეში იჯდა, და აგრეთვე ამხ. კლარა ცეტკინის წერილებიდან, სასიხარულოთ ვტყობილობთ, რომ პარტიის ხელმძღვანელმა წრეებმა სწრაფად შეიგნეს საშიშროება „ცენტრალისტურ“ გადაგვარებისა, რაიც წინ ედგა ამ მოწინავე კომუნისტურ პარტიას; მაგრამ, ყველაზე უფრო საგულისხმო ის არის, რომ ეს შეიგნო მთელმა პარტიამ. მეოთხე პარტიულმა ყრილობამ აშკარად გამოაცხადა ც. კ-ის შეცდომა. და ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის თავისი რეზოლიუციით გამოასწორებდა ც. კ.—ტის შეცდომას, ეს უკვე მოიმოქმედეს თვით მასსებმა, რომლებიც ამ პარტიას მისდევენ, მათ არ გაიზიარეს „მემარცხენე“ კომუნიზმის შეცდომა და ხელაღებით ჩაერიენ რევოლიუციონურ ბრძოლაში კაპპის მიერ მოხდენილ გადატრიალების წინააღმდეგ.

კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობა გამოარკვევს შედეგებს მისი განვითარებისას მისი არსებობის ამ პირველ თუთხმეტი თვის განმავლობაში, ის დაამტკიცებს, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი როდია შეამბოხეთა ორგანიზაცია, რომელიც შეთქმულებათა და აჯანყების მომწყობის მეტზე არაფერზე ფიქრობს; ის არც უბრალო პროპაგანდისტული ორგანიზაციაა, არამედ წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს ჭეშმარიტ რევოლიუციონურ ბრძოლას კომუნიზმისთვის პროლეტარიატის მასსიურ ორგანიზაციების საშუალებით. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა თავის პირველ ყრილობაზე გამოუცხადა მსოფლიო პროლეტარიატს მისი ბრძოლის მიზნები და უმთავრესი საშუალებანი.

ის ახლა მიუთითებს მას კონკრეტულ-ტაქტიკურ პლათფორმაზე, ბრძოლის მიუცილებლობაზე თვითეული ციდა მიწისთვის, აუცილებელ საჭიროებაზე, რომ ამ ბრძოლაში გამოყენებულ იქნას ყველანაირი საშუალებანი და ღონის ძიებანი. მაგრამ უარსყოფს რა მასსებიდან სექტანტურათ გამოცალკევებას კომუნიზმის სახელით, კონგრესი (ყრილობა) ამავე დროს კეტავს მის რიგებში ჩამდგარ პარტიებს, რომ მათი კავშირი მასსებთან გამსჭვალული უნდა იყოს კომუნიზმის სულით, ბრძოლის სწყურვილით და ამ ბრძოლისაკენ მისწრაფებით, რათა შემოკლებულ იქნას კაცობრიობის ტანჯვა-წამება.

კ. რადეკი.

## სიმშილობის პირველი დღე
### (წერილი ქუთაისის ციხიდან).

ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ ჩვენ განცხადებაზე ვერავითარი პასუხი ვერ მივიღეთ, ჩვენ დავიწყეთ სიმშილობა, თანხმათ გადაწყვეტილებისა, ოთხშაბათს, 4 აგვისტოს, გაფიცული ვართ 80 მეტი ამხანაგი, ამათ შორის ბევრი ავადმყოფიც ურევია. სულისკვეთება ასეთია: ან სიკვდილი, ან გამარჯვება. ამ მხრივ ყველანი ერთად ვართ ავადმყოფიც და კარგად მყოფიც.

დაახლოვებით დილის ცხრა საათზე ფანჯრებიდან გამოვკიდეთ ორი დროშა: ერთი წითელი წარწერით, მეორე — შავი, უწარწეროთ. დროშების გაკიდვისათანავე, ალბად თანახმათ წინდაწინვე განკარგულებისა, მცველებმა დაიწყეს სროლა ფანჯრებში. რამოდენიმე ტყვია შიგ ფანჯარაში მოხვდა, გასჭრა რკინის ხლართები და კამერის ჭერი გახვრიტა. შემთხვევით გადარჩა ამხანაგი, რომელიც დროშას ამაგრებდა. როგორც ეტყობოდა ადმინისტრაცია სისხლის ღვრას არ ერიდებოდა. დროშების ფრიალას ამხანაგები ხვდებიან სხვა და სხვა რევოლიუციონური სიმღერებით. იმღერიან „ინტერნაციონალს“ „თქვენ მსხვერპლით დეეცით“ და სხვ. ამავე დროს ციხეს ალყა შემოარტყეს. ქუჩები და ციხის ეზო მილიციონერებით-გვარდიელებით აავსეს. მოვიდა ადგილობრივი ადმინისტრაცია „პატრონები“ როგორც ციხის ისე ქალაქის. ქალაქის თავი ბ. თოფურიძე გვარდიის უფროსი ჭუმბურიძე მილიციის უფროსი პროკურორით და სხვები.

მოვიდა აგრეთვე ქალაქის ცეცხლის-მქრობელი რაზმი და მზადებას შეუდგა. როგორც ეტყობოდა სახეში ქონდათ წყლით დავემორჩილებიეთ, „დემოკრატიულმა“ ადმინისტრაციამ ასეთი „სასახელო“ საშუალებით დააპირა ჩვენთან ბრძოლა. დავი-დარაბის დიდი ხნის შემდეგ, ჩვენ უკვე ჩვენს მიზანს მივაღწიეთ. დროშები 5 საათი ეკიდა და ყველამ გაიგო მომხდარი ამბები, ადმინისტრაციამაც „მიზანს“ მიაღწია; ქუჩიდან კიბეების საშუალებით ჩამოხსნეს დროშები.

სხვათა შორის ბ. თოფურიძემ დაგვპირდა, რომ იგი მიიღებს ყოველივე ზომებს, რათა ჩვენი მდგომარეობა სასწრაფოთ იქნეს გამორკვეული. ის გვთხოვდა, რომ ჩვენ გაფიცვა მოგვეხსნა და პატიოსან სიტყვას იძლეოდა მიეღო ყოველივე ღონე რათა ჩვენი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულნი ყოფილიყვნენ. ჩვენ თავის-თავად ცხადია, გაფიცვის მოხსნაზე უარი განუცხადეთ და კიდეც ერთხელ კატეგორიულათ განუმეორეთ, რომ გაფიცვას არ მოვხსნით მანამ, სანამ ჩვენი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული არ იქნებიან. ამის შემდეგ ადმინისტრაციამ ციხე დასტოვა.

ასე დამთავრდა პირველი დღე ჩვენი გაფიცვისა. მთავრობიდან ჯერ-ჯერობით არავითარი პასუხი არ არის.

ვნახოთ ეს სიჩუმე სანამდის გაგრძელდება, კომუნისტების სიცოცხლეს როგორც ეტყობა, დიდათ არ აფასებენ ჩვენი მტრები, ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით. დეე, საქართველოს მუშებმა და გლეხებმაც დაინახონ ეს ერთხელ კიდევ.

ვ. ზ.

რედაქციამ მიიღო ქუთაისის ტუსაღ ამხანაგებისაგან შემდეგი წერილი:

## ამხანაგებო!

გაფიცვა ციხეში დაიწყო დღეს დილით. გადმოკიდეს ორი დროშა: ერთი შავი და მეორე წითელი. როდესაც დროშებს კიდებდენ, ქუჩაში მდგომმა დარაჯმა ესროლა ოთხჯერ, ორი ტყვია მოხვდა ფანჯარას. შემდეგ ამისა მოვიდა ციხის უფროსი, რომელმაც მოსთხოვა ამხანაგებს დროშების მოხსნა, რაზედაც რასაკვირველია უარი მიიღო. ამ დროს ციხესთან გაჩნდენ მილიციონერები, გვარდიელები და ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ ამხანაგებს არავითარი საბაბი არ მიუციათ პროვოკაციისათვის. შემდეგ ციხეში მოვიდენ მილიციის უფროსი მაღნარაძე, ქალ. თავი ბ. თოფურიძე, პროკურორი ბ-ნი ჯორბენაძე და გვარდიის შტაბის თავმჯდომარე კ. ჭუმბურიძე. პროკურორმა განუცხადა ამხანაგების მიერ მოსალაპარაკებლათ არჩეულ დელეგაციას, რომ მათი განცხადება მან გადასცა მთავრობას დეპეშით, მაგრამ შემოკლებით, პასუხს ელის ყოველ საათში და როგორც კი მიიღებს, შეატყობინებს მათ. ქალაქის თავმა სთხოვა კომუნისტებს, რომ შეეჩერებიათ შიმშილობა, რომ ის ყოველ ღონეს იხმარს საქმის მოსაგვარებლათ; მან იცის, რომ ბევრი დატუსაღებულია უდანაშაულოთ, ყველა ეს გამოირკვევა და სხ. მაგრამ ამხანაგებმა უპასუხეს, რომ ასეთი დაპირებებით ისინი შიმშილობას ვერ მოხსნიან, სანამ თვით მთავრობისგან არ მიიღებენ გარანტიებს. შემდეგ მან და რასაკვირველია პროკურორმაც მოითხოვეს დროშების მოხსნა; ამხანაგებმა უპასუხეს, რომ თავის ხელით ისინი დროშებს არ ჩამოხსნიან და ძალით ადმინისტრაციას შეუძლია ჩამოხსნას. უკვე 2 ნახევარ საათზე (ნაშვადღევის) იყო, როდესაც მიადგეს კიბე და ჩამოხსნეს დროშები. ამხანაგებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მიზანი მიღწეული იყო: მთელმა ქალაქმა გაიგო თუ რაში იყო საქმე. შიმშილობა რასაკვირველია გრძელდება.

ქ. ქუთაისი, ოთხშაბათი, 4 აგვისტო.

# ინტერნაციონალის გარშემო.

### ჰოლანდიის კომუნისტური პარტია.

ჰოლანდია არ არის რევოლიუციონური ქვეყანა.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ჰოლანდიის კომუნისტური პარტია რუს. კომ. პარტიის შემდეგ ყველაზე უმფროსია.

ჩვენი პარტია, რომელიც დაარსდა 1909 წელს, უკვე მეთერთმეტე პარტიულ ყრილობას იწვევს ეხლა, რომელიც შესდგება ქ. ეპსკედში, ამ წერილის ავტორის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ამ ქალაქში მთელ ჰოლანდიის ყველაზე უდიდესი საქსოვი წარმოებაა.

ძველი დროიდანვე იქ არსებული ურთი-ერთობა მუშებსა და გლეხებს შორის და აგრეთვე მუშა-ქალების დიდი უმრავლესობა ამსგავსებს ამ ქალაქს მოსკოვს. მაგრამ ამითვე განისაზღვრება მსგავსება.

რით აიხსნება კომუნისტური პარტიის ასეთი ადრე წარმოშობა ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ჰოლანდია?

ერთი ამ მიზეზთაგანი არის ის, რომ ჰოლანდიის ისტორიას არ წარმოუშვია სოციალ-პატრიოტები, დემაგოგიური ბელადები, რომლებიც ერთეული რჩებიან რა თავისი წვრილ-ბურჟუაზიულ ბუნების მოხერხებული საშვალებებით, აძინებენ მუშათა მასსებს და ანელებენ მათ რევოლიუციონურ ალტყინებას, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება.

თავისი არსებობის თერთმეტ-ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენს პარტიას არა ერთხელ უხდებოდა შეტაკება მოწინააღმდეგეებთან.

ჩვენ ამ ბრძოლაში რამოდენიმე გამარჯვება ვნახეთ, მაგრამ ვიგემეთ ბევრი დამარცხებაც, რომლებიც იძლეოდა ახალი ენერგიის წყაროს შემდეგი ბრძოლისათვის.

ჰოლანდიის კომუნისტებს დიდი გავლენა აქვთ მოპოებული ამ ქვეყნის რევოლიუციონურ პროფესიონალურ კავშირებში.

ჩვენი შეკავშირებული მუშები როგორც პარლამენტარისტები, ისე ანტი-პარლამენტარისტებიც,—ჩვენ არ ვაძლევთ დიდ მნიშვნელობას ასეთ სახელწოდებებს.

ყველანი ერთად აწარმოებენ ბრძოლას მუშათა განთავისუფლების დიად საქმისათვის. ტრანსპორტის მუშები, რომლებიც ყველაზე მოწინავე და რევოლიუციონურ მუშათა ელემენტებს წარმოადგენენ ჰოლანდიაში, რევოლიუციონური ალტკინებით ატარებენ თავიანთ გაფიცვებს, რომლებსაც უყურებენ როგორც ბრძოლის იარაღს და საშვალებას არა მარტო თავიანთ ხაზეინების წინააღმდეგ, არამედ მთელი კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგაც.

ჩვენი პარტია ცემს ქ. ამსტერდამში ყოველდღიურ გაზეთს: „დე ტრიბუნა“-ს. ეს გაზეთი გამოდიოდა ყოველკვირეულად ჯერ კიდევ 1907 წ. ჩვენ გვყავს პარლამენტში ორი წარმომადგენელი პარტიიდან და ერთი რევოლიუციონური კომუნისტი, რომელსაც მოაქვს თავი ქრისტიან სოციალისტათ, რაც განცვიფრებაში მოიყვანს ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორიას არ იცნობს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქრისტიანი სოციალისტი, შვეიცარიელ გუბბერტ დროცის მსგავსათ, სრულიადაც არ სარგებლობს თავისი ქრისტიანული იდეოლოგიით, კაპიტალიზმის ინტერესებისათვის, არამედ საერთაშორისო ბოლშევიზმისა და მსოფლიო საბჭოთა პროლეტარულ რესპუბლიკისათვის საბრძოლველად.

ჩვენ ვსწავლობთ და ანალიზს ვუკეთებთ კაპიტალისტურ წყობილებას, მაგრამ ამავე დროს მთელ ენერგიას ვხარჯავთ იმისთვის, რომ გავარევოლიუციონეროთ მშრომელი მასები და გავაღვივოთ მასში მისწრაფება და თავდადება აქტიურ გამოსვლებისათვის სოლიდარულად საერთაშორისო პროლეტარიატთან, და იმისთვის, რომ ვისარგებლოთ კაპიტალიზმის დღევანდელ დაცემით და ხელში ჩავიგდოთ ძალა-უფლება.

მაგრამ ჩვენ მოვედით აქ შორეულ ნიდერლანდებიდან (ჰოლანდია) იმისთვის კი არა, რომ გადაგიშალოთ თქვენ დაწვრილებით ჩვენი შედარებით უმნიშვნელო მოქმედება, არამედ უმთავრესად იმისთვის, რომ გავეცნოთ თქვენს ბრძოლას.

როგორც წარმომადგენელი ჰოლანდიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის, რომელიც ერთხელ უკვე 21 ივნისს 1919 წ. გამოვიდა საბჭოთა რუსეთის დასაცავად ყველა მისი მტრების წინააღმდეგ, მე სამშობლოში დაბრუნებისას გავაცნობ ჩვენ მუშათა მასებს და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს საქმეების მდგომარეობას და ვაუწყებ იმას, რომ თქვენ საჭიროებთ ჩვენს დახმარებას სწორეთ ისე, როგორც ჩვენ თქვენსას.

დასავლეთ ევროპის რევოლიუციონური მოძრაობა უნდა გაჰყვეს რუსეთის რევოლიუციას.

დ. ვეინკოპი.

### მე-3 ინტერნაციონალის კონგრესზე.

**მოსკოვი,** 4 აგვისტო. კონგრესის 3 აგვისტოს სხდომაზე ამხ. ბუხარინმა მოხსენება გააკეთა კომუნისტურ პარტიის პარლამენტარიზმთან დამოკიდებულების შესახებ. ის მიუთითებს კომუნისტურ პარტიის როლზე ორ სხვა და სხვა პირობებში: 1) მშვიდობიან გარემოების დროს, როდესაც პროლეტარიატს საერთო ინტერესები აქვს კაპიტალიზმთან, სოციალისტური ფრაქცია მოისწრაფვის დიდი გავლენა მოიპოვოს პარლამენტში; 2) კაპიტალიზმის დაშლის და სამოქალაქო ომის დაწყების დროს სოციალისტური პარტია პარლამენტის დამხვრევის იარაღს წარმოადგენს. იხილავს რა ევროპის პარლამენტების ფრაქციების შემადგენლობას და მუშაობას, ამხ. ბუხარინი აღნიშნავს, რომ მათ ცოტათ თუ ბევრათ შემთანხმებლობა სჭირთ, ყველაზე უფრო რევოლიუციონურად განწყობილი მუშები სრულიად უარყოფენ პარლამენტში მონაწილეობის მიღებას. პარლამენტების რევოლიუციონურად გამოყენება ნიშნავს მათში კომუნისტურ ფრაქციების მოწყობას, რომლებიც ვანწმენდილი იქნებიან შემთანხმებელი ელემენტებისაგან. ასეთი ფრაქციები გულწრფელად გაატარებენ ცხოვრებაში ყველა დასმულ ამოცანებს.

# ბიულეტენი პრესბიუროსი
### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

## საბჭოთა რუსეთში.

**მოსკოვი,** 4 აგვისტო. სამხედრო-ტყვე პოლონელებმა ქ. კოსტრომაში მიტინგზე გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია საბჭოთა რუსეთთან ომის წინააღმდეგ. ისინი ფიცს სდებენ, რომ პირველი მოთხოვნისთანავე მშრომელ ხალხთან ერთად წავლენ კაპიტალისტებისა და პილსუდსკის წინააღმდეგ და იბრძოლებენ მანამდისა, სანამ მთელ ქვეყანაზე არ გამეფდება საბჭოების მთავრობა.

**სარატოვი,** 3 აგვისტო. სარატოვში დაიწყო მოხალისეთა ჩაწერა ვრანგელის საწინააღმდეგოთ.

### პოლონელი ლეგიონერები საბჭოთა ჯარში.

**კიევი,** 1 აგვისტო. პოლონეთის მიერ დატოვებულ მაზრების გლეხები გადმოგვცემენ: პოლონელი ლეგიონერები გვთხოვდენ დაგვემალა ისინი სარდაფებში წითელი არმიის მოსვლამდის. ზოგ ადგილს ისინი თოფებით იმალებოდენ, რომ შემდეგ იარაღით ხელში ჩარიცხულიყვენ წითელ ჯარში.

### წითელ არმიელებს ეხმარებიან.

**სმოლენსკი,** 30 ივლისი. სმოლენსკის გუბერნიაში დიდ დახმარებას უწევენ მცხოვრებლები წითელ არმიელების ოჯახებს.

მიწის დასამუშავებლათ სოფლათ იგზავნება მთელი რაზმები.

ახალგაზრდათა კავშირმა გაგზავნა სოფლად სამუშაოდ თავისი წევრები.

## საზღვარ-გარედ

### თანაგრძნობა საბჭოთა მთავრობისადმი.

**სტამბოლი,** 22 ივლისი. „ბოსფორს“ მოჰყავს ციტატა „ტაიმსიდან“. „მუსულმანების კომიტეტი, რომელიც შესდგა ესკიშეგირეში აცხადებს, რომ ის ღებულობს საბჭოთა პრინციპებს. ბაირამის მეორე დღეს ქალაქის ყველანი მცხოვრებნი ატარებდენ მწვანე და წითელ ნიშნებს, როგორც კომიტეტის ემბლემას.

### კარგი გაკვეთილი.

**ბუხარესტი.** 30 ივლისი. რუმინეთის გაზეთში დაბეჭდილია: ლენინის წინასწარ მეტყველება მართლდება, რომელიც ლაპარაკობს: მოკავშირეები დიდ შეცდომას ჩადიან როცა ხან ერთს, ხან მეორეს გვისევენ, ჩვენ მათ სათითაოდ დავამარცხებთ. პოლონელების დამარცხება, რომელიც დამოუკიდეალათ გამოვიდა, კარგი გაკვეთილია ევროპისათვის.

# უკანასკნელი ცნობები

ბრესტ-ლიტოვსკში შესდგა პოლონეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციური კომიტეტი ამხ. მარხლევსკის ხელმძღვანელობით.

დღევანდელმა ცხოვრებამ წამოაყენა შემდეგი ორი კითხვა: «ეკონომიური განვითარება მთელი ერის საერთოდ და ეკონომიური განვითარება მთელი თითეული კლასის კერძოდ. პირველი ჩვენი ეროვნული, კულტურული კითხვაა, მეორე კი კლასიური, სოციალური; უკანასკნელი პირველის ერთად ერთი შინაარსია. ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე, წინსვლის დედა მარღვი აქ არის დამარხული. ბურჟუაზია უარყოფს პატრიარქალურ ფეოდალურ ურთიერთობას და ამყარებს ბურჟუაზიულს; მუშა ხალხი უარყოფს ბურჟუაზიულს და ამყარებს კოლექტიურს“.

**ნ. ჟორდანია** მესამოცე წლების მოლაწენი 1896 წ.

## მუშათა წერილები

**საბჭოთა რუსეთში „მუშათა დელეგაციის“ გაგზავნის გამო.**

საქართველოს პროფესიონალური კავშირების ცენტრმა გადასწყვიტა, დასავლეთ-ევროპის მუშათა პარტიების მსგავსათ გაგზავნონ საბჭოთა რუსეთში მუშათა დელეგაცია.

აი, ამ გადაწყვეტილებას გაზ. „ერთობა“ ალტაცებაში მოუყვანია.

იგი სწერს: „არჩეულ დელეგატების“ სია გვიჩვენებს, რომ დელეგაციის გაგზავნა მუშებს ისეთ საქმეთ მიაჩნიათ, რომელიც პარტიულ კერძოობის გარეშე უნდა იდგეს, ამ საქმეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, და დელეგატთა სიაც იმ განზრახვით არის შედგენილი, რომ შიგ ყოველმა მიმართულებამ ჰპოვოს თავისი გამოხატულება: მასში ადგილი დათმობილი აქვს, გარდა სოც.-დემ. პარტიისა, ფედერალისტებსაც, დაშნაკელებსაც, ესერებსაც, ე. ი. ყველა იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშები. დელეგაციის შედგენის ასეთი წესი ჩვენ სრულიად სწორედ მიგვაჩნია“, და სხ.

მაშ ასე, საბჭოთა რუსეთში მიმავალ „მუშათა დელეგაციაში“ თურმე ყველა მიმდინარეობები და პარტიები არიან წარმომადგენელნი.

რომ არ დაგვავიწყდეს კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ: სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები, ესერები და დაშნაკელები,—მართლაც რომ ღირსეული შერჩევაა: დავანებოთ თავი იმას, თუ როგორი მუშათა ინტერესების გამომხატველნი არიან დაშნაკელები, ფედერალისტები და სხ. და შევეკითხოთ „ერთობას“: ვისი წარმომადგენელი და ვისი ინტერესების გამომხატველი იყვენ ისინი, რომლებიც მიმდინარე წლის შუა მაისის რიცხვამდე ისხდენ საქართველოს ციხეებში, ესე იგი კომუნისტები?

„ერთობა“ განაგრძობს:

„დელეგაციის ასეთს შემადგენლობას კიდევ სხვა მხრივ ექნება დიდი მნიშვნელობა, საბჭოთა რუსეთის მუშები პირისპირს შეხვდებიან საქართველოს მუშებს, არა პარტიის წარმომადგენლებს, არამედ ნამდვილ მუშებს“.

საინტერესოა ვიცოდეთ: რანაირი დირიქტივებით არის მომარაგებული „მუშათა დელეგაცია“ იმ შეკითხვების საპასუხოდ, რომელსაც, ლაპარაკი არ უნდა, „პირისპირ შეხვედრის“ დროს საბჭოთა რუსეთის მუშები მისცემენ საქართველოში კომუნისტური ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელთა დევნის შესახებ?

ორიოდე სიტყვა, მუშათა დელეგაციის შემდგენლობაზე ეროვნული მხრით: დელეგაციის ავტორებმა კარგათ იციან, რომ საბჭოთა რუსეთი უაღრესათ ინტერნაციონალური სახელმწიფოა, ამიტომ მუშათა დელეგაციაში სანიმუშოდ ერთი სომეხი და ერთიც რუსი მოუქცევიათ.

დიდი გამოქნილი დიპლომატები ბრძანდებით ბატონებო, მარა გარწმუნებთ სულ წინააღმდეგს მიაღწევთ თქვენი ფალსიფიკატორული „მუშათა დელეგაციის“ სახით.

**მუშა კოწია.**

---

**მოკლე პასუხი.**

ამას წინათ გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებული იყო მოწოდება მუშების მიმართ, რომელმაც „ერთობელები“, ძლიერ აახმაურა, და ხელათ ლანძღვითი წერილი მოათავსეს გაზ. „ერთობაში“ ის მეხება მე პირადათ და ამბობს:

„გონებითაც მახინჯი და ფიზიკურათაცო“, ასე ილანძღება ბ. „ასოთ-ამწყობი“, ის მემუქრება: ჭკუით იყავი სანამ არ მოგაშოროთ საქართველოს რესპუბლიკასო; არა ბ. „ასოთ-ამწყობო“ მაგით მე ვერ შემაშინებ, მხოლოდ ეს კი იცოდე, რომ პირადი შეხება ზნეობა დაკარგვის მამასწავებელია.

თქვენი წერილი თვითონ თქვენ გახასიათებთ და მეტს არაფერს გეტყვით. ეს მოკლე პასუხი საკმარისია თქვენთვის, ვინაიდან თქვენი სიპატიოსნე თქვენ თვითონ გამოაშკარავეთ.

**ი. სადრაძე.**

## პარტიული ცხოვრება.

**სუჯუნა (სამეგრელო).**

ძველი პარტიის წევრების რეგისტრაცია დამთავრდა. სწარმოებს ახლების მიღებაც. დანიშნულია სასოფლო ბიუროები. იაჩეიკის წარმომადგენლებს პარტიული გადასახადი წესიერად შემოაქვთ. იკრიბებიან დრო გამოშვებით თავიანთ იაჩეიკებში, ვინაიდან დაბის ბიურო დაიხურა. ირკვევა სხვა და სხვა გვარი კითხვები. აგრეთვე იაჩეიკის წარმომადგენლებმა დაადგინეს: დაევალოს ადგილობრივ პასუხის მგებელ ამხანაგებს საჭირო ბროშურების გავრცელება, რომ თვითეულ პარტიის წევრმა ზეპირათ იცოდეს თავისი მოვალეობა. საზოგადოთ მიუხედავათ სხვა და სხვა გვარი შემთხვევებისა პარტიაში შემოსვლის მსურველები დღითი დღე მატულობს. პარტიაში აქვს უფლება შემოვიდეს მხოლოდ და მხოლოდ პატიოსან და სინიდისიერ ნამდვილ მუშაკს, რომელიც ემსახურება მხოლოდ სინდისიერ მუშურ რწმენას, და რომელმაც უნდა აატრიალოს ერთად ერთი პროლეტარიატის წითელი ბრწყინვალე დაუძლეველი დროშა.

**ქ. ნ.**

---

**პროტესტი რეპრესიების გამო.**

ხაშურის კომუნისტური ორგანიზაციამ მოისმინა რა დატუსაღებული ამხანაგების შესახებ ცნობები, 24 ივლისს კრებაზე დაადგინა: გამოუცხადოს სასტიკი პროტესტი რეპრესიების გამო და გამოთქვამს იმ აზრს, რომ კომუნისტური პარტიას ბევრი მსხვერპლი შეუწირავს და კიდევ მრავალს შესწირავს. დღე ჩვენი ამხანაგები მეტეხის ნესტიან კედლებში, გახდენ მსხვერპლნი რევოლიუციისა, მაგრამ უწყოდენ მენშევიკებმა, რომ ვერ მოსპობენ რევოლიუციონურს წინსვლას, ისტორიის ჩარხს ვერ გააჩერებენ. ვუსურვებთ მეტეხის ამხანაგებს მედგარ ბრძოლას: ისტორია გაგამართლებთ თქვენ, ამხანაგებო!

**ქ. მიხაილოვის კომუნისტური ორგანიზაციის კომიტეტი.**

## მუშათა ცხოვრება.

**ჩვენში.**

**პოლიტიკა და პროფესიონალური კავშირები.**

თბილისის მეტყავეთა პროფესიონალური კავშირი ბ. ბ. მენშევიკების წყალობით დახურულ იქნა პროფესიონალურ მუშაობაში პოლიტიკის შეტანისათვის. კავშირის ქონება და საქმეები გადაეცა მეტყავეთა ახალ კავშირს, რომელიც, როგორც თვით მენშევიკები „ბორბიდან“ აღიარებენ მუშათა მოძრაობის ჯანსაღი გულია.

მაშასადამე ყველასათვის ნათელია, რომ მუშათა მოძრაობის „ბელადების“ ამოცანაა შეძლება მისცეს მუშათა მასსებს გაყვენ ამ „ჯანსაღ“ მუშათა მოძრაობას და ყური უგდონ, რომ არ შეიპაროს შიგ პოლიტიკა.

მაგრამ საქმით კი სულ სხვა ხდება. ახალი კავშირის წევრებათ იღებენ მხოლოდ იმ მუშებს, რომლებიც ხელს მოაწერენ რეზოლიუციას, რომელიც კიცხავს ძველი კავშირის გამგეობის მოქმედებას. რა არის ეს? კავშირია ეს თუ პოლიტიკური პარტიის განყოფილება? პოლიტიკის შეტანა თუ პროფესიონალური მუშაობა?

დიე, ბ.ბ. მენშევიკებმა თვითონ განსაჯონ თავიანთი ყოფა-ქცევა. **X.**

**ზედმეტ დროს მუშაობა ფაბრიკის მეპატრონეთ სასარგებლოთ.**

ცენტრალურ მომრიგებელ კამერაში ხშირად ირჩევა კითხვა ზედმეტ დროს მუშაობის შესახებ. ამ კითხვას ეხებიან და არჩევენ, აგრეთვე პროფესიონალურ კავშირების გამგეობები და შრომის კომისარი.

უკიდურესი ეკონომიური პირობები იძულებულს ყოფს მუშებს იმუშაონ ზედმეტი საათები.

ეს მოვლენა მუშათა ცხოვრებაში უკვე ჩვეულებათ გადიქცა. ზოგი მუშა იძულებულია 16 საათი იმუშაოს დღეში, რომ გამოკვებოს ცოლშვილი. ამ ზედმეტ მუშაობისათვის მუშები ვერ იღებენ იმდენ ხელფასს, რამდენიც ეკუთვნის მათ.

ზევით მოხსენებული „მუშათა ინტერესების დამცველი“ დაწესებულებები ამას არ აქცევენ დიდ ყურადღებას

საქართველოში არსებობს 8 საათის სამუშაო დღის კანონი. მორჩა და გათავდა. სხვაზე თავს არავინ იტკივებს, თუ ოდესმე მოხდა სასწაული და მოიწვიეს ფაბრიკის მეპატრონე, ის ასეთ საქმისთვის როგორ გაირჯება და მოვა. მის დაუსწრებლათაც კარგათ კეთდება მისი საქმე.

მიზეზი იმისი, რომ მუშები ზედმეტ საათებს მუშაობენ, არის მუშების ხელფასის სიმცირე და ცხოვრების საზღაპრო სიძვირე. **აშ.**

## წერილი ციხიდან

**პასუხათ ბ. ჯ. ქ. ხეცსურიანს!**

ბატონ ხეცურიანს, რომელიც გველაპარაკება როგორც „ხევსურიანი“, („ერთობა“ № 172) ძალიან უკვირს, რომ მე და ჩემს ამხანაგებს, რომელნიც ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში ვიმყოფებით, უდანაშაულოთ ვცნობთ ჩვენს თავს, მოვითხოვდით გასამართლებას: განთავისუფლებას ან და კანონიერ სასჯელს; უკიდურეს შემთხვევაში გადასახლებას. მას ალბათ არ ესმის და ან რათ უნდა იცოდეს, რომ დღეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საპყრობილენი ჩემისთანა უდანაშაულო შეპყრობილ პირებით არიან გავსებულნი და ისინიც ჩემისამებრ მოითხოვენ სამართლიანობას. რათ უკვირს მას, ამ უკაცრავათ პასუხია სოციალ-დემოკრატს, რომ ეს მოთხოვნილება ყველასაგან სამართლიანია. ალვივებს და მის გამოსვლებს ხელმძღვანელობს. შემდეგ ამისა ბ-ნი „ხევსურიანი“ აღშფოთებულია მეორე განცხადებით (ოი საშინელებავ!) სენაკიდან, სადაც ამხ. ოჩიგავაც ჩემისთანა მოთხოვნილებას აყენებს თურმე,

საბრალო „პეშკავ“, თქვენ რათ იწუხებთ თავს ბრალმდებელის როლის აღმასრულებლათ, განა ძველი ნიკოლოზის სახის მსაჯულნი ძველივე კანონებით აღჭურვილნი ნაკლებათ მოგეპოვებათ? დღიდან ლეგალიზაციის აღიარებისა მეც, როგორც სხვა ბევრი ამხანაგები, განთავისუფლდით ციხიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ წინანდელი „ბრალდება“ და სასჯელი უარ ყოფილია, წასაშლელია. მაგრამ თქვენ იურიდიულ შემეცნებას ეს არ შეგუებია და ძველი „საბუთებით“ სურს ახალი ბრალდების წამოყენება. იმედია, ლოღიკა თუ იცით რა ხილი არის, და მას მისდევთ, ხვალ რუსეთ—საქართველოს ზავის განსაჩივრებასაც მოჰკიდევთ ხელს და მის ხელის მომწერ პირებსაც სახრჩობელაზე გაიყვანთ, მაგრამ მაგას ვერ იზამთ, ვინაიდან ფაქტია, სრული ჭეშმარიტებაა, რომ არამც თუ თქვენ ბრალმდებელო, არამედ თქვენზედ უფრო „ფილოსოფიურათ“ განვითარებულებმა ვერ მოახერხა. არამც თუ მთელი კომუნისტური პარტიის საბრალდებულო სკამზედ დასმა და შესაფერი ოქმის წაყენება, არამედ ჩემ წინაღმდეგაც რაიმეს დასაბუთება.

საბრალოვ, თქვენ რათ მოგდის შეცდომა?! ს. ოჩიგავა, როგორათაც თქვენ იძახით, სოლომონ ხარებაიათ იწოდებდა. იგი სრულიათაც არ ყოფილა ლეჩხუმის რევოლიუციონური შტაბის უფროსათ, არამედ ის იყო ერთი მოღალატეთაგანი, რომელმაც იზურგა ქანქარი და თქვენი რაზმების რიგში იმყოფება. სენაკელი ოჩიგავა სხვაა, აბნეულო ბრალმდებულო—ის აქ, კომუნისტური პარტიის შეპყრობილ წევრებთან ერთად ციხეში ზის და მოითხოვს საბუთებს შეპყრობისას, მხოლოთ ნამდვილი ყოფილი რევოლიუციონურ შტაბის თავმჯდომარე აქ აღარ არის! „ოპრიჩნიკებმა“ ეს ხალხის გმირი, ამხ. აკ. ოჩიგავა სიკვდილით დასჯით დააჯილდოვეს, გლეხ-კაცობამ იგი იხსნა სენაკის ციხიდან; შემდეგ ქუთაისის ციხეში გადმოყვანისას, წარსულ წელს 3 ივნისს ტიფით გარდაიცვალა, ის დასაფლავებულია სოფელ გეჯეთში, (სენაკის მაზრა).

თქვენ იძახით, რომ მე და განსვენებული ამხანაგი აკ. ოჩიგავაც (და არა ს. ოჩიგავა, როგორც თქვენ იძახით და რომელიც თქვენი თანამოღვაწეა) „მოვევლინეთ ლეჩხუმის მაზრის მაშინ, როდესაც წყალი ამღვრეული—იყო... მოხსენებათ“. რომელი წყალის ამღვრევაზე ლაპარაკობთ, უებარო ბრალმდებელო? გლეხკაცების გამოსვლაზედ განდათ რაღაცა წამოროშოთ, მაგრამ ამას თქვენ წყლის ამღვრევათ სთვლით, რომ ვერ მიგიხვდენ თქვენს შეხედულებას.

თქვენ იძახით, რომ რევოლიუციონური შტაბი „დასახვრეტი ხალხის სიებს ადგენდა და ეს დასახვრეტი ხალხის სია 120-მდე გაიზარდაო“. მასთან, თქვენ იძახით რომ „შტაბის დადგენილებით დახვრიტეს ბ. ჩიქოვანიო“.

ჩიქოვანი, ყოფილი „ემიგრანტო“ მოეკლათ 1918 წ. 30 მაისს და მე და ჩემი ამხანაგი აკ. ოჩიგავა კი მივედით იქ 15 ივნისს, ჩვენ ჩიქოვანს არც ვიცნობდით და არც ვიცით თუ რა პირობებში მოხთა მისი მკვლელობა. მაშ კეთილი ინებეთ და ჩემი საბრალმდებულო ოქმიდან თქვენი გასვრილი კალმით ამოშალეთ ეს მუხლი. რაც შეეხება 120 „ხალხის დასახვრეტათ გამზადებულთ“, გეტყვით, რომ თუ ამისთანა სია არსებობდა და მისი სისრულეში მოყვანა საჭირო იყო შტაბისთვის, რომელსაც მართლა თავმჯდომარეობდა ამხ. აკ. ოჩიგავა ს. ხარებაიათ წოდებული, რატომ არ ინებეთ და არ დაგვისახელებთ ამ „ხალხის“ ვინაობას? ამას ვერ იზამდით და ვერც ერთს პირსაც ვერ დასახელებთ ვინაიდან ასეთი სია შტაბს არ ქონდა და არც ჩემთვის „მთელი ჯარების მთავარი სარდლისთვის“ არ გადმოუციათ. ირწმუნეთ რომ იმასთან ერთად რაც უფრო და ძნელი ასასრულებელი იყო და მოხთა ამას უფრო იოლათ აასრულებდა შტაბი (და არა მე). მე მებარა აჯანყებული გლეხ-კაცობის ლაშქარი და თუ აქ თქვენ რაიმე საყვედურის თქმა გინდათ, იმისთვის, რომ მე ამ ხალხს გლახათ ან განზრახ ღალატურათ ვექცეოდი მაშინ თქვენ რა გაწუხებთ, ამაზედ შეუძლიან სთქვას რამე ლეჩხუმის გლეხ-კაცობამ და მისი ოქმი კი თქვენისთანების საწინამდეგოთ უფრო იწერება, ვინემ ისეთების წინამღდეგ, როგორც მე.

რაც შეეხება იმას, ვითომ მე „მოუწოდებდი ქუთაისის დარბევას“ ასაზე ლაპარაკიც მეტია, ეს თქვენ მიერ მოჭორილი ამბავია. მიბრძანდით ლეჩხუმში, ინახულეთ იქაური გლეხები და ისინი გეტყვიან, მართლა „მაუზრით და მათრახით“ ვიმორჩილებდი მე? ისინი, სხვათაშორის, იმასაც აგიხსნიან—თუ რათ „გადაგიწყვიტეს(!) ბევრჯერ სიკვდილი, ციხეში მოგათაიესე ბევრჯერ(!), რამოდენჯერმე(!) გაგჩხრიკეს“ და რას წარმოადგენთ მათი თვალში დღესაც, როდესაც სამშობლოს დამცველი „ჯარისკაცი აკ. ხევსურიანი“ ბრძანდებით.

**ხანდრო ქაჯაია.**

---

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.**

## უწყებანი

თბილისის კომუნისტურ ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რესტოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

---

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რესტოვეტის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 სათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო**

დროებით მოთავსებულია რესტოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

---

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც ზელენხოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

---

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე იბრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

---

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროებით მოთავსებულია ნოვო-ბებუთოვის ქ. № 11 (Ново Бебутовская ул. № 11) მღივანი იღებს 11—1 ს.

## განცხადება

ამით ვაცნობებთ ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ყველა პარტიულ ამხანაგებს, მუშებს და გლეხებს, რომ 1 აგვისტოდან გაიხსნა ქ. ბათუმში საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბათუმის ბიურო, სადაც მოხდება ამხანაგების რეგისტრაცია და ახალი წევრების ჩაწერა პარტიაში.

ბიურო მოთავსებულია ერისთავის ქ. № 4, კილფის საკინწავი სახელოსნო.

გაღებულია დილის 9 საათიდან—12 საათამდე და საღ. 5 საათ.—8 საათამ.

**საქართ. კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტი.**

## ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა,
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
13. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. 3.